1/1915

კვირა, 6 დეკემბერი 1915 წ.

ფასი 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ეშვიკი მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 30

საქართველოს სახ. წიგნის პალატა
15/I-49 ელ.
№ 1

— თქვენ დაბოლოს სამი უფროსი გყავთ: შოლტი, მათრახი და მე. პედაგოგიკა აქ რა შუაშია!

სანიმუშო სიტყვა

შედგენილი ეშმაკის მიერ საზოგადოთ ყოველ-გვარ ქართულ კრებისათვის, ხოლო კერძოთ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კრებისათვის.

ბატონებო! 1)

როგორც ხედავთ, ჩვენმა თავმჯდომარემ ჩვენს წინაშე წამოაყენა ფრიად საინტერესო და მძიმე საკითხი ქართულ წიგნებში **კორექტურის** გასწორების შესახებ [2]).

კორექტურა[3]) არ არის ისეთი უბრალო რამ, როგორც ეს პირველი შეხედვით მოგეჩვენებათ, არამედ არის უფრო ძნელი და მძიმე. მოვიყვან მხოლოდ ერთ ცოცხალ მაგალითს, რომ უბრალო ლაპარაკითა და ზედმეტი სიტყვებით თავი არ შეგაწყინოთ. ბ-ნმა შ. ქარუმიძემ მოგახსენათ სიტყვა **„მდგმოიარობა“** [5]) რას ნიშნავს, ბატონებო, სიტყვა „მდგმოიარობა?“ [6]) ცხადია არაფერს! ბ-ქარუმიძეს რომ ენებებია და კორექტურა გასწორებია აღნიშნული სიტყვისა, ჩვენ მივიღებდით ნამდვილ სიტყვას— „მდგომარეობას“ [7]).

ვინ არ იცის, ბატონებო, თუ რამდენათ აუცილებელია ჩვენთვის მდაბიო ენაზე დაწერილი წიგნები და ჟურნალ გაზეთები! ამიტომ მე მოვითხოვ და ჩემთან ერთად დარწმუნებული ვარ ყველა აქ დამსწრეც მოითხოვს, რომ კორექტურა საგამომცემლო სექციის საქმე იყოს და არა სასკოლო, ანუ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებისა.

ბატონებო![8]) თვით მდგბარეობა ჩვენი სამშობლოისა გეოგრაფიულია და ის გვიკარნახებ ნათლად, რომ ჩვენს ხალხს უყვარს წიგნის კითხვა და საზოგადოთ გონებრული ვარჯიშობა, მაგრამ თუ ჩვენ წიგნის მაგივრათ მას კორექტურას გავაგზავნით, ნურას უკაცრავათ ზურგი შემოგვაქციოს და განზე გაგვიდგეს, როგორც ამას მოითხოვს ბუნებრივი ინსტიქტი. ჩვენ კი ამ დროს რას ვშვებით? როცა საქმეა საჭირო, მაშინ უბრალო ლაპარაკსა და ლამაზი სიტყვების ხარჯვას ვანდომებთ დროს, ხოლო იქ ჩვენი მოძმენი უკუნეთ სიბნელეში არიან ჩაცვინულნი.

ბატონებო! იწამეთ ღმერთი, მიაქციეთ მთავარი ყურადღება აღნიშნულ საკითხს, რომელიც მჭიდროთ დაკავშირებულია საგნის ასე თუ ისე გადაჭრასთან. ვინ იქნება ისეთი უვიცი, რომ მას არ ეხელმწიფებოდეს ამ კანონიერი მოთხოვნილების

---

[1]) ზრდილობისათვის შეიძლება მიემატოს სიტყვა: „და ქალბატონებო“-ც.

[2]) ლაპარაკის დროს შეიძლება ზურგი გამგეობას შეაქციო და პირი საზოგადოებას, როგორც ეს ბ-ნმა ილია ნაკაშიძემ იცის, ან და უკუღმა, როგორც სხვა ორატორები შვებიან. შეიძლება განის მიმართულებაც მიიღოთ, როგორც ბ-ნი შალვა ქარუმიძე სჩადის ხოლმე. ამასთანავე ლაპარაკის დროს შეგიძლიათ ერთ ალაგას იდგეთ, როგორც საზოგადოთ მიღებულია, ან ისეირნოთ წინ და უკან, როგორც ბ-ნი ილ. ნაკაშიძე შვება. ამას სიტყვის ღირსება-ნაკლულოვანობაზე მაინც და მაინც დიდი გავლენა არა აქვს.

[3]) თითონაც ჩინებულად ;ედავთ, რომ ღერძი სანიმუშო სიტყვისა არის კ ო რ ე ქ ტ უ რ ა, ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ამ სიტყვიდან უკვე დაიწყოთ ნელ-ნელი აღ ვება. შევნიშნავ, რომ სიტყვის ღირსება, რამდენათაც ჩემი გამოცდილება მიკარნახებს უაღრესად დამოკიდებულია დროთა და მიზან შეწონილად აღელვებაზე[4]). მართალია თავის თავად კორექტურა არაფერ ამაღელვებელ ელემენტს არ შეიცავს, მაგრამ აღელვება მაინც სჭირია.

[5]) აქ ბ ნი თავმჯდომარე, თუ კერძო ბაასში არაა გართული, უთუოდ ზარს დაარაწკუნებს, ვინაიდან ჩვენ შევეხეთ კერძო პიროვნებას და ისიც აღელვებულის ტონით. თქვენ შეგიძლიათ არავითარი ყურადღება არ მიაქციოთ ამ გაფრთხილებას, ვინაიდან თუ შეედავეთ, საგანი ლაპარაკისა უთუოდ დაგავიწყდება და სხვაზე გადახვალთ.

[4]) უმორჩილესად გთხოვთ ერთმანეთში არ აურიოთ ორი ერთი მეორის საწ ნაალმდეგო შემეცნება, სახელდობრ: ა ღ ე ლ ვ ე ბ ა და ხ მ ი ს ა მ ა ღ ლ ე ბ ა. ეს უკანასკნელი შეიძლება თვით საზოგადოებამ მოითხოვოს, (როგორც მაგალითად ბ-ნი გ. ცინცაძის მოხსენების დროს) ხოლო აღელვებას საზოგადოება არასოდეს არ მოითხოვს.

[6]) მღელვარებასთან ერთად საჭიროა ხმასაც უმატოთ.

[7]) შეიძლება ხალხიდან ვინმემ წამოიძახოს ეგ სიტყვა სხვანაირადაც, მაგრამ თქვენ ამას უმეტეს აღელვებითა და ხმის ამაღლებით უნდა გასცეთ პასუხი და არა ფაქტიური განმარტებით.

[8]) თუ აქამომდე მოითმინეთ, ახლა აუცილებელია აღელვებასა და ხმის ამაღლებას დაერთოს ეგრედ წოდებული ჟესტიკულიაცია. მარჯვენა ხელი ჯერ გულზე უნდა მიიდვათ, შემდეგ განზე გასტყორცნოთ[9]) და მასთან ერთად შეთანხმებით შეანძრიოთ თავიც, დაახლოვებით ისე, როგორც წყალში ბანაობისას ბატმა და იხვმა იცის, ან როგორც კრებაზე ბ-ნი ს. კედია შვება ხოლმე.

[9]) ხელის გაქნევის დროს საჭიროა მცირედი სიფრთხილე, რომ გაქნეული ხელი თავში არავის მოხვდეს, რადგან კრებას ისეთი პირებიც ესწრებიან, რომელთათვის საზოგადო საქმეს დიდი ფასი არა აქვს და ასეთი თავში ჩაფარება შეიძლება შეურაცხყოფათაც მიიღოს.

შეგნება და ღირსეულად მისი გადაჭრის მიღება[10]).

ვინ. თუ არ ჩვენ, უნდა მიაქციოს ყურადღება იმ აუტანელ ეკონომიურსა და ზნეობრივ-კულტურულ პირობებს, რომელშიაც დღეს ქართველობის უმეტესი ნაწილი იმყოფება? დიახ, აქ დაყოვნება აღარ შეიძლება და საჭიროა თითოეული პიროვნება თავის პოზიციაზე იდგეს. ვინ იცის როდისა და რით გათავდება ეს უმაგალითო ომი, ეს უჩვეულო და სულის სიღრმემდი შემაძრწუნებელი სისხლის ღვრა; ვინ იცის როდის მოეღება ბოლო ამ შეხლა-შემოხლისაგან გამოწვეულ არევ-დარევას, ვინ არის თავდები, რომ ხვალ ჩვენი ქვეყანა არ აეხვევა აბობოქრებულ ზღვის ცეცხლის ალებში და ჩვენს მთებზედაც არ გასკდება მეხის გრიგალი 42 არშინიან ზარბაზნებისა? [12]) ვინ მომცემს ბატონებო ამის იმედს, რომ ყოველივე, ის რაც დღეს აქ წარმოითქვა აღარ განმეორდება? ჩვენ ისეთი დაუდევრები ვართ, იმდენი ლაპარაკი და კინკლაობა გვიყვარს რომ უბრალო საგანზედაც მთელი თვეობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თორემ ისეთ დიდსა და მძიმე საკითხზე, როგორიც არის კორექტურა, ჩვენ მთელი წლითაც ვილაპარაკებთ.

წელანაც მოგახსენეთ და ახლაც ვიტყვი, რომ კორექტურა არ არის ისეთი უბრალო რამ, როგორც[14])...

ეშმაკი.



*
* *

ვინ იცის, მყობადი
ხვალ ვის რას მოუტანს;
ჩვენს წარმატებას-კი,
სამზღვარი არ უჩანს.
აი, ამ წინაზე
გაზეთი ვნახე და
ჩემს გულში მაშინვე
აღდგომა გათენდა!
იქ სწერდენ:
— გერმანეთს
საქმე აქვს ცუდათო...
ფაფხურობს, ვითომდა
ცა უჩანს ქუდათო,
თორემ, რაც იქ ხდება
ენით არ ითქმისო:
მდიდარი ქვეყანა
გაკოტრდეს თითქმისო.
მოისპო...
ქურდობა,
ძარცვა
და ღლეტაო...
სა-ტუ-სა-ლო-ე-ბი
სულ დაიკეტაო...

---

[10]) აქ საჭიროა ხალხს გადაავლოთ თვალი და, თუ მოწყენილობას შეატყობთ, აუცილებლათ უმატოთ სამივე ელემენტს: მღელვარებას, ხმას და ჟესტიკულიაციას[11]).

[12]) ეს ის ადგილია, სადაც აღელვებამაც და ხმის ამაღლებამაც უმწვერვალეს განვითარებას უნდა მიაღწიოს. ცუდად თუ ბევრად ეს ეხერხება ბ-ნ დ. ხარტიშვილსა და შ. ქარუმიძესაც. აქედან მღელვარება ადგება დაცხრომის ნანას[13]) და ხმაც დაბლა ეშვება.

[11]) ზოგიერთმა სულწასულმა და მოუთმენელმა, უდისციპლინო დამსწრემ შეიძლება წამოიძახოს: — კმარა, ბატონო, ნუ გვტანჯავთო, მაგრამ თქვენ ეს შენიშვნა ვითომც არ გაგიგონიათ. თავი ისე უნდა გეჭიროთ, როგორც ქვეყნად ჩამოსულ ღმერთს და დამსწრეთა გროვა თქვენთვის უბრალო ჯიკვებს წარმოადგენდეს. ეს იმიტომ, რომ თუ თქვენმა მღელვარებამ დაჰკარგა ხელოვნური ხასიათი და ბუნებრივზე გადავიდა, მაშინ მოსალოდნელია ისე დაგებასთ ენა, როგორც ეს ბ-ნ გ. იმნაიგიშვილს მოუვიდა, როცა სასკოლო სექციის საქციელი ფულის საკითხს დაუახლოვეს. ერთი სიტყვით ღმერთმა დაგიფაროსთ არა თუ მარტო ბუნებრივი მღელვარებისაგან, არამედ ყველაფერი ბუნებრივისაგან.

[13]) უნდა მოგახსენოთ, რომ არის სხვაგვარი ხელოვნებაც. მაგალითად ზოგიერთი ორატორი მღელვარებასა და ხმის აღმატებას თანდათანობით ანვითარებს, ვიდრე სიტყვის დასასრულამდე.

ჩემის საკუთარის აზრით ეს არ არის მიზანშეწონილი ქართველი საზოგადოთ იმდენს ლაპარაკობს, რამდენსაც იმავე საგანზე ილაპარაკებდა ჩვეულებრივი კაცი. ამიტომ თუ ქართველმა ორატორმა თავიდანვე შეაყოლა ხმის აწევა დმ მოისურვა ბოლომდე განგრძობა, შეიძლება დიდი მარცხი შეემთხვეს: შეიძლება მას ხმა აღარ ეყოს თვით გვამი ადამიანისა გასკდეს, რის მაგალითი არა ერთი და ორი ყოფილა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

[14]) აქედან ჩვეულებრისამებრ იწყება, არა თუ სხვისი ნათქვამის, არამედ თავისი საკუთარი თქმულების განმეორება, შემდეგ განმესამება და ასე ბოლომდი, ვიდრე ვინმე მადლიანი მოთმინებიდან არ გამოვა და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ კი სხვა
ხალხნი ვართ!!
სხვაგვარი ჯიშიო...
ჩვენ გაკოტრებისა
არა გვაქვს შიშიო...
ვიცით ძარცვა-გლეჯა,
კაცთა მკვლელობაო...
ქრთამის, ზედმიწევნით
ვიცით ხელობაო.
სატუსაღოს დღეში
თითოს ვაშენებთო,
საყვარელ სამშობლოს
მითი ვამშვენებთო,
ააშენეს... ხედავ
უკვე სავსეაო!
ჩვენი წიმსვლელობის
საქმე ასეაო.
ვხედავ,
გული სტკბება,
სულიც იხარისო
მე მაცოცხლებს ბედი
სამშობლო მხარისო.

კოლო.



მესტვირულ-გადაკრული

(დიდინა სოხუმელისა)

ტომარა მოკიდებული
თბილისში მოვეშურები:
მომაქვს სოხუმის ამბების
ცხელ-ცხელი ხაჭაპურები.
დაზოგვით ენდა ვაჭამო
და დრო გაშვებით მკითხველებს,
თორემ ვინც ერთად ბევრს შესჭამს,
ის ! იმწრით ამოიხველებს.
მაშ ასე, მინდა ტომარში
აწ ფრთხილად ჩავყო ხელია,
რომ ხაჭაპური მოვიგდო,
რომელიც უფრო ცხელია.

—

ქალაქის თვითმართველობის
ჯერ ამოვზიდოთ ნაზუქი,
მისგან ხომ ბევრი გვინახავს
ჩვენ ნაპურები, ნასუქი;
გაცლაც რომ ენანებოდა
და ზედ რჩებოდა კბილები,
მისთვის უცემდა ყელ-კუჭი,
მისგანვე ჩანატკბილები.
ცხოვრების წესი ესაა
და ჩვენც რა გვეთქმის ამაზე,
ათას რო ნერწყვი სდიოდეს
ორიოდ პირის ჭამაზე.
მხოლოთ რო სჭამენ და პირებს
აცმაცუნ-აწკლაპუნებენ,
ამ დროს იქ ერთი მეორეს
თავში ნუ უტყაპუნებენ.
თორემ ქუჩაზედაც გადმოვა
ეგ სამარცხვინო წესები
და მაშინ მე—გლახ-მესტვირეც
მიხილოთ ანაკვნესები...

—

აგერ ქალაქის აფთიაქვს
რომ აჰბრაწვია ფერდები,
უჰ, ეს რა ცხელი პურია!
და მეც ამაზე ვრჩერდები...
სწეწენ ამ მსუქან ხაჭაპურს
ჩხიკვნი, ყვავნი და კაჭკაჭნი,
ბევრგან გულ გამოლადრულსა
კიდეც აქვს ჩამონაბხაჭნი.
ბრჭყალნი რომ გაჰკრეს, გამოჰკრეს
და არ დაინდეს ბეჩავი,
არ დარჩენილა არ ვისგან
გაუწეწ-გაუჩეჩავი.
ალბათ, რომ გემრიელია
ეს ცხელი ხაჭაპურიცა,
ამან დაჰბადა ამ ხალხში
მტრობაც, ქიშპიც და შურიცა.
საჩხუბრათ წაკაპიწებულთ
ჩაუცვამთ ჯავშან-კაბები.
ჰხამს, რომ მათ დავაყლაპინოთ
სპერმაკუდინის აბები!.

—

აქ ხურდა ფულის ხმიადმაც
დაჰბადა აურ-ზაური:
წამლად რო დაგჭირებოდათ,
არსად არ სჩანდა შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს კი ზოგ-ზოგ ვაჭრუკას
გადაემალა ფულები:
აბაზი, სამშაურები
და ვერცხლის უზალთუნები.
და ერთ დღეს... ჰოი, განგებავ!
შეიქნა ჩხრეკა, წრიალი,
გადამალულმა ვერცხლებმა
კვალად დაიწყეს ჩხრიალი.
წარეკეს პოლიციაში,
ვით დამნაშავე, თულები.
პირს კატა ეცათ ვაჭრუკებს;
დარჩენ გულ დათუთქულები:
ჩასწვათ ყელ-გული ხმიადმა,
ვერ მოინელეს კარგათა;
ეხლა თავიანთ დანაკლისს
ჩვენზედ აწერენ ხარკათა...

—

აწ დასასრული მოითხოვს
თქვენგან დაგდებას ყურისა:
ჩვენცა გვინახავს ტკბილ გემო
ბალ-აღურ ხაჭაბუთისა.
მაგრამ დავსწყევლე ის წუთი,
როს იქ ვიხილე ჭამანი:
ეკვეთნენ მგლურის მადითა
სხვა და სხვა ჯურის მამანი,
მიჭქონდათ იერიშები
კოვზებით, დანა-ჩანგლებით,
თითქოს სამკალ პურს მუშები
მისევიანო ნამგლებით.
არ ვიცი, მათ რა მოსწონდათ:
შინაარსი, თუ მიზანი?
ერთიც თუ ღირდეს კიტრათა,
მკითხველო გამოიცანი,
აქციეს სუფრა გაშლილი
ბრძოლა გადახდილ ველათა...
იქ, სადაც შორს თუ სისხლს ღვრიან,
ჩვენ ხომ ვართ უზრუნველათა!..
თან რომ შეხურდენ, პირთაგან
წამოაქუხეს რეჩები,
სმენით და მეტის სიცილით
კინაღამ დასქდენ ფეჩები...
მეც ვიყავ... ისე... არც ვიყავ:
იყო, პირს არა ილო რა
კამეჩი მყავდა ყოყინა
სძოვდა და არა იყო რა.

ონისიმე.

თოკის ნაჭერი.

უპირველეს ყოვლისა უაღრესი მადლობა მოგიხსენებია ს. აბაშელისათვის, რომელმაც პირადათ გამაცნო ჩვენი ცნობილი ლექტორი გრიგოლ ამაღლობელი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე წარჩინებულ გვამთა გაცნობით ბედი არ მანებივრებს: ტოლსტოი ისე მოკვდა, რომ არა თუ მისი პირადათ გაცნობა არ მეღირსა, ნახვითაც ვერა ვნახე.

ვერ ვიცნობ აგრეთვე სრულიად საქართველოს ფალავანს კოსტა მაისურაძეს, რომელიც დიდი ხანია უცხოეთის ფალავნებს ებრძვის თავგანწირვით ჩვენი მამულის სასახელოთ. ამის შემდეგ, რა ვასაკვირველია, უღრმესი მადლობა მოვახსენო ბ. აბაშელს, რომელმაც ჩვენი ცნობილი ლექტორი გრიგოლ ამაღლობელი პირადათ გამაცნო.

ლექციის 300 თეზისი თითქმის ბოლომდე მქონდა წაკითხული, როცა თვით ლექტორი გავიცანი და დიდის კრძალვითა და მორიდებით შევცქეროდი ახალ გაცნობილ მკვლევარს. უმნიშვნელო მოკლე ბაასის შემდეგ ბ. ამაღლობელმა სთქვა: „გუშინ თურმე წ. კ. ს. კრებაზე მე მეძებდენ: ღნდოდათ ეთხოვათ, სადღეისო ლექცია გადამედო და დარბაზი მათი კრებისთვის დამეთმო. ძალიან ვნანობ, რომ არ ვიყავი. წ. კ. ს—ს დარბაზს კი არა, ჩემს თავსაც დავუთმობდიო“.

მართალი მოგახსენოთ, მე ძალიან გამანცვიფრა და თან მეტის მეტათ მასიამოვნა კიდეც ახალგაზრდა მეცნიერის ესოდენმა თავდადებულობაამ: საკუთარ თავსაც დაუთმობდა იმ საზოგადოებას, რომლის გამგეობის წევრებს ერთმანეთისთვის „დედა-ენის“ კორექტურაც კი ვერ დაუთმიათ! შეადარეთ, ბ-ბო, ამ ორი დათმობის ღირებულებანი და თქვენვე მიხვდებით, რომ აქ ორი პოლიუსია, ორი მოპირდაპირე წერტილი—უმაღლესი მწვერვალი და უმდაბლესი ჯურღმული...

სამწუხაროთ ლექტორი დარბაზში გაიწვიეს, ლექცია უნდა დაწყებულიყო და ჩვენი ბაასიც შეწყდა.

დარბაზში რომ შევედი, ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, როგორსაც, ალბათ, სიკვდილით დასჯის დამსწრენი განიცდიან. რაკი ბ. ამაღლობელის თეზისებს ვიცნობდი კიდეც, რა თქმა უნდა ისიც კარგათ ვიცოდი, რომ მას აქ, ამ დარბაზში, საჯაროთ უნდა ჩამოეხრჩო ნოე ჟორდანია და ყველა მისი თანამოაზრენი. მართალია, ეს ვაჟბატონები სწორეთ სახრჩობელას ღირსნი არიან და მათი სიკვდილით დასჯა სამშობლოს ერთგულ სამსახურს ეთანაბრება, მაგრამ ავაზაკის ჩამოხრჩობის ყურებაც ხომ სამძიმოა კაცისაოვის. ამ.ს გამო შურის თვალით დავუწყე ცქერა იმ სამ გენერალს, პირველ წყებაში რომ ისხდენ და მხიარულათ იცინოდენ რაღაზედაც. „ამათ რა უჭირთ!—ვფიქრობდი მე: —ალბათ არა ერთხელ უყურებიათ ჩამოხრჩობისათვის და მიტომაცაა აგრე უდარდელათ რომ ელოდებიან კარზე მომდგარ საშინელ ჟლეტას!“

მაგრამ აი დაიწყო ლექცია და ჩემი გუნებაც შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა მე გავიგე, რომ ჩვენ—მე, ის სამი გენერალი, თვით ბ. ამაღლობელიც და ყველა ქართველები—„ის აღარა ვართ, რაც ვიყავით და ცოტა ხანს იქით არც ის ვიქნებით, რაცა ვართ“. ჩვენ—ე. ი. მე, ის სამი გენერალი, პირველ წყებაში შემომატებული უცხო ტყავების მოსასხამიანი ბანოვანი და თვით ბატონი ლექტორი ამ ჟამათ, თურმე, „ვღელავთ ისე როგორც არასოდეს არ შეგვეძლო ღელვა“. თურმე ჩვენ ე. ი. მე და ზემორე ჩამოთვლილი პირნი „ბრძოლის ცეცხლით ვყოფილვართ ჩამოსხმულნი“ და იმ სამ გენერალს, მე, და სხვებს მოსე წინასწარმეტყველი გვიხსენიებს, როგორც ლბადლო ოქრომჭედლებს. მიუხედევათ ამისა ჩვენ დიდი უბედურები ვართ და თვით „სერბეთი“, სადაც მცხოვრებლების მესამედი ამოჟლიტეს, მესამედი მიწა-მამულიდან აჰყარეს და დანარჩენი ტყვეთ შეიპყრეს, ჩვენზე გაცილებით ბედნიერია, რადგანაც მას ჰყავს პაშიჩი, რომელსაც მშვენივრათ შეუსწავლია „ვეფხის ტყაოსანი“ და თავის სამშობლოს შოთას სიტყვებით ამხნევებს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“.

ჩვენი უბედურების მიზეზი ქართველი მარქსისტები არიან. ამათ თურმე ყურიც არ ათხოვეს ილია ჭავჭავაძის წინადადებას—ჯერ ჩვენი ეროვნული საქმე მოვაგვაროთ და შემდეგ დავიყოთ კლასებათო და ნ- ჟორდანიას თაოსნობით—არც ლაპარაკობენ, არც აცივეს და მთელი საქართველო თვალის დახამხამებაში კლასებათ დაჰყვეს. ეროვნული მთლიანობის ასე დასაქუცმაცებლათ ნ. ჟორდანიამ შემდეგ ხერხს თურმე მიმართა: თავი მარქსისტათ გამოაცხადა, თუმცა ბ. ჟორდანიას შეხედულებანი დიამეტრალურათ ეწინააღმდეგებიან მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს.

შეუდარებელი იყო ლექტორი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მარქსის აჩრდილს მიმართა:

— ოჰ, სადა ხარ ეხლა მარქსო, რომ შენებურის მკვეთრი ღიმილით *) შესძახო: moi je ne suis pas marxiste!

ეს ფრანგული ფრაზა ბ. ამაღლობელმა მიუწდომელი პარიზული „პრონონსით“ წარმოსთქვა.

შემდეგ ლექტორმა ჩინებულათ დაახასიათა სულელური, მაგრამ მაინც გენიოსური მოძღვრება კარლ მარქსისა, რომელიც თურმე გერმანიაში კარგათ ცნობილი მკითხავი იყო, თანაც ისეთი მკითხავი, რომლის არც ერთი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. მაგალითად, მარქსმა თურმე იწინასარმეტყველა, მავანსა და მავან წელში გამოვა დიდი გველეშაპი, ანუ დიდი კაპიტალი, და ჩაჰყლაპავს ყველა პატარა გველეშაპებს, ანუ პატარა კაპიტალებსო. ეს მკითხაობა გამტყუნდა. არ გამართლდა აგრეთვე მარქსის მეორე მკითხაობაც: მავანის წლისა მავანის თვისა მავანსა დღესა დასავლეთ ცის კიდურზე სამი კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდება, მაშინ მთელი ქვეყნის მუშები ერთბაშათ გატიტლიკანდებიან, გახულიგანდებიან და მდიდრებს დაერევიან,—ამოჟლეტენ და მოხდება სვრანი და ძვრანიო.

მარქსის და ენუქას შედარებას რომ შეუდგა ჩვენი ნიჭიერი ლექტორი და თვალ ნათლათ დაანახვა დამსწრეებს, რაოდენათ მაღლა სდგას ენუქა მარქსზე და ენუქას ანდერძი მარქსის ანდერძზე, მე, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, დარბაზი დაუტოვე...

—

ეხლა კლუბის ზალაში, ეჭვი არ არის, სახრჩობელათა რაზმები იქნება ჩამწკრივებული და თი-

*) როგორც მოგეხსენებათ, ბ. ამაღლობელი კ. მარქსის იდეური მტერი, მაგრამ პირადი მეგობარი იყო და ამიტომაც მოიხსენია ის „მკვეთრი ღიმილი“, რომელიც არა ერთხელ უნახავს მის სახეზე.

თი სახრჩობელაზე, ალბათ, რამდენიმე დასელი ქანაობს. რუსები ამბობენ, სახრჩობელის თოკმა ბედნიერება იცისო. ნუ დაიხარებს ნიჭიერი ლექტორი და ერთ-ერთი სახრჩობელას თოკის ნაჭერი, თუნდ ნ. ჟორდანაასი იყოს, მითავაზოს. მე მინდა იმ თოკის პატარა მათრახი გავაკეთო და ს. საჯაოხოში გაუგზავნო საჩუქრათ ბ. ამაღლობელის მამას: დარწმუნებული ვარ კარგათ მოიხმარს და, ვინ იცის, იმ მათრახმა იქნებ მის შვილს ბედნიერებაც მოუტანოს!...

თაგუნა.

მაძიებელთ.

(საიდუმლო მიწერილობა)

„უწმინდესი სინოდის ობერ პროკურორად ნამეორე სიბლარს თანახმად თხოვნისა ნება ებოძა ატარონ თავისი მეუღლის გვარი—**დესიატკოვსკი**".

დეპეშებიდან.

„**სახელმწიფო** სიბჭოს წევრს ნება ებოძა ატარონ თავისი მეუღლის **გვარი**—**ტალიზინი**".

დეპეშები. (კბეკ. სდ. 267)

ვინც ჩვენ ცხოვრებას ცოტად თუ ბევრად იცნობს, მას უეჭველია მოეხსენება, რომ საქართველოში გარდა სამი მთავარი წოდებისა (გლეხი, აზნაური, თავადი.) არსებობდა და არსებობს დღესაც კარგა მოზრდილი წოდება „**მაძიებლებისა**".

მოგეხსენებათ ისიც, რომ მთელი სიმძიმე სასოფლო სახელმწიფო მოვალეობათა, მიუხედავათ მათი საერთო მნიშვნელობა საჭიროებისა კისრად აწევს მხოლოდ გლეხობას. ამიტომ **მაძიებელთა** წოდება უმთავრესად*) გამომდინარეობს გლეხობიდან და სხვა და სხვა საბუთების საშვალებით სცდილობს თავი აზნაურობაში გადაირიცხოს. ეს საქმე მოითხოვს ძლიერ დიდ ხარჯსა და დროს, თუ საქმეს სათავეში ისეთი ენერგიული და ნიჭიერი გამგე აო უდგას, როგორც ცნობილი აშორდია ბრძანდებოდა.

ვინ მოსთვლის რამდენი შეძლებული ოჯახი გაკოტრდა ამ საქმის გადამკიდე. უმეტესობა მიზანს ვერ აღწევდა, მაგრამ ხშირად მიზან მიღწეულიც და ბოლოს „აზნაურ—პროლეტარის" მდგომარეობამდის აღწევდა.

ისტორიული ფაქტია, რომ ამ მხრივ ქართველი კანონმდებლობა ქალებს მეტ უპირატესობას აძლევდა. მაგალითად საკმარისია გლეხის ქალი თავადმა ითხოვოს, რომ უკვე „კნეინას" ხარისხი დაიმსახუროს. ამით ხელგაშლით სარგებლობდენ ჩვენი მეზობელი სომხები (ვაჭრები) და თავის ქალებს ქართველ თავადებს აძლევდენ, რასაკვირველია მხოლოდ ხარისხის მოსაპოვებლათ.

ბატონებო! დღეს საქმე ძირითადათ იცვლება და ჩვენს „მაძიებლებს" ფართე სამოქმედო ასპარეზი ეხსნებათ. უბედურობა ისაა, რომ ჩვენ ყველაფერში დაგვიანება ვიცით და თვალს მაშინ გამოვქყეტთ, როდესაც უკვე გვიანია. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს თითქმის მუდამ დღე მოაქვს ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები. თითქმის აშკარაა, რომ ჩვენ უახლოვდებით იმ შორეულ წესწყობილებას ადამიანთა დამოკიდებულებისას, რომელსაც მეცნიერები ვგონებ „მატრიარხატს" ეძახიან. შესანიშნავია მატრიარხატი მით, რომ ოჯახში ქალი უფროსობს და შვილებიც დედის გვარზე მიდიან. ეს უმნიშვნელოვანესი შედეგია თანამედროვე ომისა და უეჭველია ამ მხრივ კაცობრიობამ მდევის ნაბიჯი გადმოსდგა წინ.

ამიტომ ყველა „**მაძიებელს**" შეუძლია გამოსნახოს სადმე სადმე ერთი მიყრუებული თავადის, თუ აზნაურის ქალი, დაიწეროს მასზე ჯვარი და იშუადგომლოს გადარიცხვა მეუღლის გვარზე. ამ-გვარი ხერხით გაცილებით ადრე და შედარებით უფრო იაფად შეგიძლიათ მიღწევა თქვენი იდეალებისადმი.

მორიელი

P. S. თავისთავად ცხადია, რომ ეს საიდუმლო მოწერილობა არ უნდა გახმაურდეს, ვინაიდან ამას შეიძლება არა სასურველი შედეგები მოჰყვეს:

ა) შეიძლება მთავრობამ შეატყოს გლეხობის რიცხვის შემცირება გადასახადების ჯამის შემცირებით.

ბ) და რაც უფრო ჭკუასთან ახლოა, შეიძლება თავად-აზნაურობის ქალებმა კურსი ასწიონ, მით უმეტეს რომ დღეს ბრძოლაა და დარდანელი, დაკეტილია. მაშ სიფრთხილე და სიჩქარე, მაძიებელნო!

მ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინა
ბერლინი
ვარშავა
ბუდაპეშტი
ბუქარესტი
ბელგრადი
ზაგრები
ბუენოსაიერესი
ბერლინი
ბუენოსაიერესი
ბუენოსაიერესი
ბუენოსაიერეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერიდეთ თფილისის ქუჩებს!

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია მამაშვილურის მზრუნველობით ურჩევს ყველას ვისაც საკუთარი ავტომობილი არა აქვს ნუ გამოვა ქუჩაში, ვიდრე ავტომობილზე უჩქარეს სირბილს არ შეისწავლის.

გამოცანა.

(რაჭა ლეჩხუმისთვის)

გმირსა ამ გამოცანისას
გულზე ჰკიდია ჯვარია,
სოფლის მოძღვარი ბრძანდება
უყვარს შემწვარი ცხვარია.

—

მოყვანილობა ზორბა აქვს
ვით გმირი ტარიელია,
წვერი თხის მეფეს მიუგავს,
გოგრა კი ცარიელია.

—

ასეთი მღვდელი მეორე
არა ჰყავს რაჭა-ლეჩხუმსა,
ერთი სტაქანი ღვინისთვის
მოგყიდის ბარძიმ-ფეშხუმსა.

—

თუმც სავსე ქვევრიც რომ ნახოს
მასაც არ დაერიდება,
გაიძრობს მყისვე ფარაჯას
და თავქვე ჩაეკიდება.

—

ძველ ადათ წესებს მხნედ იცავს
ეს ჩვენი გმირი პასტორი.
(რწმენით და მიმართულებით
ბრძანდება კონსერვატორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილ საქმეში ხალხისთვის
მართლაც ურგები მჩვარია,
მაგრამ ტყავისა ძრობაში
იგი სწორ-უპოვარია.

—

ამბიონიდან ხალხს აძლევს
შემდეგსა დარიგებასა:
— შვილებო მოძღვრებს აქცევდეთ
ზედმეტსა ყურადღებასა.

—

ასვით, აჭამეთ უზომოთ,
ასრულეთ მათი ნებაო,
არ მოაკლებდეთ დრამის ფულს
გიბრძანებსთ ქრისტეს მცნებაო".

—

მკვდრის გასვენება თუ გინდა
უნდა მზად გქონდეს თუმანი
(თუნდ კაპეიკიც დაგიკლდეს
ნულარ გაქვს მისგან გუმანი)

—

ჯვარის წერაზე ხომ იგი
სულ ზომა დაკარგულია
(თუ გინდ თმა წვერიც გაჭრიქე
მიეცი მხოლოდ ფულია).

—

გეტყვის:—თუ მომცემ სამ თუმანს
ეხლავე დაგწერ ჯვარსაო,
თორემ ნაკლებათ მე არც კი
გავაღებ საყდრის კარსაო.

—

ბინდა? დაყაქე ფულები
და საქმე გაიჩარხეო,
არა და, ჭირი მომჭამე
გამშორდი დაიკარგეო".

—

საერთოდ, ხალხის დაჩაგვრა
არის იმისი მიზანი,
აწ კი მკითხველო თვით მიხვდი
ვინც არის გამოიცანი.

კვახი.

ივარგა ჩემმა ბიჭმა.

(გურული სცენა)

ძაან გულ გატეხილი ვიყავი ჩემს აყლაყუდა ნესტორიაზე! იგი თუ რამეთ ივარგებდა არ მეგონა! ღვთის პირიდან შეჩვენებულს რომ იტყოდენ, სწორეთ იგი იყო; რა არ ვუქენი მე იმას, ზე გადავაყოლე ჩემი საცხოვრებელი, დიდი ვაი ვუშველებელით რავარც იქნა, გავათავებიე ღემლაზიეს ოთხი კლასი, ტყავს ევიხთიდი პირზე და რამენაირათ თლათ გავათავებიებდი, მარა ვინ აცალა, უბიძგეს მეოთხე კლასიდან და გამოაბუნძულეს შინ. თურმე დუუწყო დევნა თუ სამე ციცე დეინახა და მეტი აფერი იფიქრა... ჩამეეთრია შინ, დეისპარტა თვალები, დეიწყო სლუქუნი: ბაბა, შენი ჭირიმე, ნუ გამიწყრები, კი გამომგდეს მარა, ოთხი კლასის ეგზამელიე ქე ჩავაბარე, აფთეკარცკი უჩენიქათ ქე ვივარგებ და ადგილსაც კას ვიშონიო. არ შეგჭამოს ჭირმა, ვერაფერ საქმეზე ვერ მუვაკიდებიე ხელი... დავაყარე სადავე და გოუშვი: — წინ წყალი, უკან მევყერი, ჯანდაბას წადი შვილო მეთქინ... მარა ვინ მოგშორდა, სახლიდან ფეხი ვერ გამოვადგმიე. ქე ეგდო აგერ შარშანდლამდი სახლში, დაბენტერობდა და ქე იყო...

დეიწყო ვაინი თუ არა, ააბზუა ტუნჩი, შექნა წრიალი, ბაბა, ბილეთი მომე, საცხა წავალ, ორ გროშს ვიშონი ამ პახოთობაზეო... სახლში დიეგდე, ბიჭო, კას დროზე აფერი სიკეთე გიქნია, ახლა წააჭუნეტ საცხა თავს და იგი იქნება შენი შონა მეთქი.

წროულს აპრილამდი ქე იყო სახლში, აპრილში დაკრა ფეხი და გადავარდა საცხა... დევიზაფრეთ კაცი, რაც უნდა იყოს, ერთი კეკალი შვილია იმას ოუვარდა ფშვინვა, იმან გვაჭამა შიში და ფეთება.—ჩემს ცოლს—ფოტინას კურცხალი არ შეწყვეტია თვალებზე.—გევიდა კანკრაზი ექვსი თვეი, მისი ალავალ-დასავალი ვერსად გევიგე; ვაცხადე ყოველგან, ერთი გაზეთშიც ქე გამოვაცხადე, მარა, ვეფერი გევიგე, არც იმ ღვთის პირიდან წასულმა მოგვწერა რამე.

ეკენისთვეში, გევიხე ე, და ქუთაისიდან ჩამევიდა ჩვენი გეტრიელაის ბიჭი და ქუდმოხდილი მოვარდა ჩვენსას. —რას მომცემ სამახარობლოსო, მოგვაყვირა ცოლქმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭო გლახა აფერი მითხრა, თვარა ნიგუზალს გკრავ ყორყაში მეთქინ.

ამიტანა შიშმა, ფოტინას კინაღამ შამოუხთა გულზე...

— თქვი შენ შეჩვენებულო რამე მეთქინ. —დეიღლარჯა და მითხრა: შენი ნესტორიე ქუთეისში ვნახე, გააფიცრებულაო.

— ნუ მეყაშმიერები ბიჭო, მართალი მითხარი იგი აფიცერათ რავა ივარგებდა მეთქინ... მიფიცა, შინაბდა, და ბოლოს ქე დამაჯერა. გევიქეცი მაშვინათე, ვისესხე გზის ფული და მეორე დილას ქუთაისში გავაყენე ფხეკა... დილა იყო, გევემგზავრე სალდათების ყაზარმებისაკენ, მივაწიე ახლოს, თუ არა, ქე დევინახე ჩემი ნესტორიე გამოჯგიმული. რომ არ მცოდნოდა, რავა ვიცნობდი, ჩინებ გადაპტყელებული, გამოსკვინჩული, გამოწინწილებული, ქე უდგა განზე უთოფო სალდათების ლიანგს, მინდოდა მივარდნილიყავი მარა ვინცხამ მითხრა ახლა „ზანიატი“ აქ და არ მიხვიდეო... გავჩერდი მოშორებით, ევიტუზე, ვუყურებ: შეუფაფხურა სალდათებს, მიაწყო, მიაპრავილა და დაუყვირა უბედურათ:

„ნააგომარში!!! დოუყვირა თვარა დეიძრა აგი ქვეყანა სალდათები, შექნეს: „ბრრხ, ბრახ, ბრუხ!... დაადვეს თავი, გოუყვენ... გადვირიე კაცი ვიფიქრე, მარა ვერ მევიაზრე: ამ ბიჭმა რომ დოუმძახა ამ სალდათებს „ნაგომარშიო“,*) რა უნდა ა ზამთარში იქინეი, ყურძნის კრეფა გათავდა და სიმინდის ტეხა. სათ მიგყავს ამდენი ხალხი, ან ფეხით რაფერ ჩააწევენ იქინეი მეთქინ. გევიხედე და ისევლე მოაბრუნა, ატრუალა ერთხანს, და მერმე დეისვენეს.

მივაწურე მინდოდა გადავხვეოდი, მარა „სტოიო“ დამიძახა.. შევაშტერდი თვალებში.. შემაშტერდა იგიც ოხ, ღმერთი გამიწყლა კინაღამ ვერ გიცანიო, ჩამომართვა ხელი და მითხრა, ახლა არ მაქ დროიო და სალამოს მოდი. ზანიატს რომ გავათავებო.

მივედი სალამოს, მითხრა, ხედავ შენ რომ ამბობდი ვერ ივარგებო, გახლავარ აფიცერიო.

დილიდან სალამომდე სულ ალმა დალმა დაკრბივარ და ვხტუნავ.

— მაგის მეტი თუ არ უნდოდა, ხტუნვა და სირბილი თავიდან გიყვარდა შენ მეთქი, ვუთხარი. ცოტა ქე ეწყინა აგი, მარა, მერე დედამისის ამბავს მკითხა

— შვილო, რამდენი გაქ ჯამაგირი.

— სტო სემდესიატ

— შენ კი გენაცვალე, ბაბა, თუ გამომიყვან სიღარიბიდან ახლაა:

ამეიღო ერთი სამი თუმანი და მითხრა: ახლა აგი წოუღე ნენას და მერმე მე ვიცი კიდომ ბევრს გამოგიგზავნიო.

სწორედ შემეხარბა აგი აფიცრობა. ბიჭო ჩვიდმეტი თუმანი არ იხუმრო თვეში, თანრმე ახლა ორი კლასის ატესტატი თუ გაქ პაწე მომზადებით ქე მიგიღებენ აფიცრის კლაში, ატესტანტი არ მაქ თვარა, ქე მივემზადები არც ისე გლახა ვარ, მომამზადე ბაბა მეც მეთქინ, ვუთხარი აგი რომ შევიტყვე...

— ახლა წადი შინ, ნენაი ამეიყვანე აქანაი, და შენ კი მოგამზადებ, ნუ გენაღვლებაო. დავკარი ფეხი და გამოვბრუნდი სახლში, ახლა პაწას მივაწყოვაწყობ სახლში, წევიყვან ქალს და მეც მევემზადები აფიცრათ ჩემ ბიჭთან, რავა ღმერთი გამიწყრება, ვერ დევიჭერ ეგზამენიას, და თუ დევიჭირე მომხედა ღმერთმა, სამ თვეს რავა ვერ ვიცოცხლებ, თუ გინდა სადაც გამგზავნონ, სამჯერ—სტო სემდესიატ, პიატ სოტ დესიტ ბუდიტ, ერთს სულსაც მევითქვამ და ვალებსაც გევისტუმრებ, მერე თუგინდა ქე მზეპონ ტყვია გულში, ჯანდაბას ჩემი თავი ივარგა ჩემმა ბიჭმა!..

ლუკაიეს ობოლი.



*) ნაგომარი დაბა არის გურიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰატარა მესტვირული.

(სამტრედიისათვის)

ნულარა მაცდენთ, გამიშვით,
მომეცით ჩემი სტვირი მე,
ამბავსა გეტყვით დაბისას,
მოგილხენთ თქვენი ჭირიმე.
სხვებს თუ არ სწყალობს დღეს ბედი
აბა ჩვენი რა ბრალია,
ჩვენი ვაჭრები ცხონდება
თუ სადმე სამართალია.
ყველგან თუ მათი მოძმენი
ხალხის ნაშრომით სტკბებიან,
ჩვენი ვაჭრები სულ სხვაა--
ღარიბებს ეხმარებიან.
„მეგობარს“ იცნობთ ქუთათურს
ჩვენი დაბისა შვილია,
ყველა სტრიქონი გიორგის
ფულებით აწყობილია.
ტიტეც ხო იქ მოლარეობს
აუსრულდა საწადელი,
ისიდორე დარჩა მხოლოდ
პრესის „წარმომადგენელი“.
კოპერატორთა კრებაზე
მოსულიყო ისიც განა,
ქალალდი და კარანდაში
ორივ ერთად მოეტანა,
და ხაზავდა ნელა, ნელა,
მიმჯდარიყო ერთ კუთხეში
ბედნიერად გრძნობდა თავსა
ვითა მწირი სამოთხეში.
„პედაგოგები“ ჯავრობენ
გადამემტერა ყველანი,
გვითხარი თუ ხარ „ალიო“
რა სურთ არ ვიცი ღმერთმანი!
ნულარა მაცდენთ, გამიშვით,
მომეციც ჩემი სტვირიმე,
მათრახიც უნდა წავიღო
გამიშვით თქვენი ჭირიმე.

ალი.

—

(დიდი ჯიხაიშისათვის)

ელასაო, მელასაო,
დღეს მოვსდგები ყველასაო;
აღარავის გამოვტოვებ,
ფლიდს და ცრუპენტელასაო.
არცა კაცსა, არცა ქალსა
კაბა-კუდა ჭრელასაო,
არც ნასწავლებს დაგიზოგავ
კარტს თუ უწყებს ფენასაო.
უსაქმურსა ქალიშვილებს,
არშიყთ, მოუსვენარსაო,
დღე და ღამე ბაზრად ჰყრიან
შინ აცივებს, კერასაო.
უშნოთაც რო პარუსკობენ
აგრძელებენ ენასაო,
მიეთ-მოეთ, ბატონებსა
და ჭორების მქსელავსაო,
ურჩევ ხელი შეაჩვიონ
სახლში ჭრას და კერვასაო,
თორემ ბოლოს ინანებენ
დაიკვნეტენ ენასაო,
ეშმაკმაც, რომ მოინდომოს
ვერ შეიძლებს შველასაო.
არც ხუცუკებს გამოვტოვებ
მრევლის მლოცველ მამასაო,
ალაპსა და ქელეხებში
რომ უხშირეს ჭამასაო.
აწ დავდუმდეთ შემდეგ გეტყვით
იმათ გვარს და იმათ ჩინსო...
(სურათებსაც, გაუგზავნი,
ეშმაკს, ჩემი თვალის ჩინსო).

კიკოლა ბიჭი.

დეპეშები

სუმბატოვო. 22 ნოემბერს დიდის 10 საათზე დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „იმედი“. საღამოს 7 საათზე წევრები პურს მოითხოვდა. იმედი აქვთ „იმედი“ იმედს გაამართლებს; მხოლოდ იმედი არ აქვთ თუ ოდესმე ადგილობრივ აფთეკაში აფთეკარს ეღირსებიან. ამბობენ ეს ნატვრა მხოლოდ მაშინ შესრულდება, თუ რუსეთ გერმანიის სეპარატიული ზავი მოხერხდა და რაც გერმანიის ფრონტზე გაწვეული აფთეკრებია, ყველა სუმბათოვოში დაბრუნდებაო.

უცნობი.

—

სუჯუნა. მამა ფილიმონმა სამკითხველოს კრებაზე სასტიკი იერიში მიიტანა „თანამედროვე აზრზე“, როგორც ცუდი მიმართულების გაზეთზე; გაზეთმა უკან დაიხია და „ცუდ ღარის“ ნაპირებზე

გამაგრდა. ამბობენ, ხსენებული ფილიმონი ჯვაროსნულ ომს მართავს „აზრის“ წინააღმდეგ. ჯერ-ჯერობით „თანამედროვე აზრი“ კონტრ იერიშებით იგერიებს მას.

კეტი.

—

„საქართველოს“ რედაქციიდან. ბ. სპ. კედიამ უარი სთქვა რედაქციაში მუშაობაზე. კნოფლიქტი გამოიწვია უკანასკნელ სურათებიან დამატებაში მოთავსებულმა სტრათმა—„შემოდგომა და ჩვენი გლეხი“. ბ. კედია უკმაყოფილოა, რომ სურათში გამოჩიცხულია

თავადი და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მღვდელი.

ბ. კედიას ამის გამო აუარებელი თანაგრძნობის დეპეშები მოსდის გლეხებისაგან მეგრელეთიდან, გურიეთიდან, აჭარეთიდან, ქართლეთიდან, რაჭეთიდან და სხვ.

მოსეინეგა

სოფ. ჭაგანი. ორშაბათ დილა გათენდა,
რა კარგი დარი დგებაო,
ეს ჩვენი ზედამხედველი
დუქნისკენ ემგზავრებაო.
იქ იგი თავის საყვარელ
ძმა-ბიჭებს ელოდებაო,
რაც გუშინ კარტში წააგო,
დღესა სურს ამოგებაო.
სკოლა ფეხებზე ჰკიდია
ახლოს არ ეკარებაო,
თან და თან კიდეც ბავშები
ეცლება, ეკარგებაო.
ამ გვარ ვაჟბატონს, სწორედ რომ
მათრახი ეკადრებაო.

—

ბ-ნო ეშმაკო!

ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემულ ჟურნალის საშვალებით, გამოვაცხადო შემდეგი საიწუხარო ამბავი:

1915 წ. 14 ნოემბერს, უგზო-უკვალოთ დაგვეკარგა ფრიად თვალსაჩინო მოღვაწე მასწავლებელი ქალი.

ალმოსაჩენათ მიღებულია შესაფერი ზომები, მაგრამ ჯერ-ჯერობით მიზანს ვერ მივაღწიეთ.

და ამისათვის
ვაუწყებთ ყველას,
რომ ვითხოვთ მათგან
რჩევას და შველას.
ვაუწყებთ მშობლებს,
ნაცნობებს, ტოლებს,
ჯან-საღებს, გამხთრებს,
ლოგინში მწოლებს.
ვაუწყებთ სევდა
დარდში ჩაფლულებს,
მისი დაკარგვით
ჯვარზე დაცმულებს,
რომ დაგვეხმარონ
ჩვენ მის პოვნაში
და კვლავ მოგვეგვარონ
იგი სკოლაში.
მოგვეგვარონ რათაც
უნდა დაგვიჯდეს,
ჩვენ გვსურს მის სკამზე
სხვა არვინ იჯდეს.

ჭაგნელი ბზიკი

მკითხველთა საყურადღებოთ

მწუხარებით ვაცხადებთ სამტრედიელ მკითხველთა წინაშე, რომ 1915 წლის „მათრახის“ 12 და 16 ნომრებში მოთავსებული ლექსები ბ. „ალისა“, რომელიც ეხებოდა ვექილ ბესოს, ვერ იყო შესაფერისად აღნუსხული.

მათრახის რედაქტორი **თ. ბოლქვაძე.**

◎ სახალხო სახლი ◎

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, 1915 წ.

დრამატიული დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

მსხვერპლი

დრამა 4 მოქმ. გედევანიშვილისა.

დასაწყისი სამოს 8 საათზე.

ᲨᲔᲜᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲦᲐᲛᲘ

ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲠᲗᲔᲚᲓᲐᲡ — ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘᲗ

ᲮᲚᲝᲕᲔᲣᲚ-ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘᲡ
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲛᲝᲚᲘᲗᲝᲚᲕᲔᲗ
ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

— ღვინო ისე გაძვირდა, რომ ღარიბმა კაცმა იქნებ ზიარებისათვისაც ველარ იშოვოს! ღვინის ასეთმა გაძვირებამ, ღვინოზე აქციზის შემოღებამ და ბოთლებზე ბანდეროლების დაკვრამ ბევრი დააფიქრა. ჯერ კიდევ შობა-ახალწლამდი რამდენიმე დღეა, მაგრამ ბევრი უკვე ტირის და მოსთქვამს, არ იცის კაი დღეებზე დრო რითი გაატაროს. მე კი არხეინადა ვარ. **რა ჯობია ლაღიძის წყალს!!** ვენაცვალე მის ასე გემოვნებით შემზავებელს, კაი დღეებს სიფხიზლეში გავატარებ, არც დავთრები და არც აყალმაყალს ავტეხ. გირჩევთ საკაიდღეოთ თქვენც **ლაღიძის წყალს** შეექცეთ და ისიამოვნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ ჟუნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ
✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ანდაზა.

აქლემები წაიჩხუბნენ, კოზაკი შუაზე გასჭყლიტეს*)

---

*) ეს სურათი, როგორც მკითხველიც შეატყობს, დახატულია 5000 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე ქართველი მხატვრის „კრიპუჭის“ მიერ და თუ რამდენათ შორს-მჭვრეტელი ყოფილა აღნიშნული მხატვარი, ამას ნათლად ამტკიცებს დღევანდელი მისი ზედ გამოჭრილად მისადაგება წერა-კითხვისა და საისტორიო საზოგადოებათა შორის ატეხილ დავაზე.

ნებადართ. წაშხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტ.-გამომცემელი თეოფილე ბოლქვაძე.